№ 143 ივლისი 9, ხუთშაბათი 1892 ივლისი 9, ხუთშაბათი № 143

„Иверія“ (ежедневно)
Кутаисъ
2-ой гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია

ტფილისში

მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

აკეთებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჭიგიენო იარა-ჭრილობათა შესახვევს მასალას**.

**ხელობაღა აქვს გეთება:**

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთის წუთის სწმენდავს ჰაერს, ჰაერის მყავბადს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.

პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც მალიან ჰშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მასტიკისა იატაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არაფრით ჩამორჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდათფორმით შეზავებული მარლისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წურინოვისეულ) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—33)

## ახალი ამბავი

*** 6 ივლისს ტფილისის მიხეილის სამკურნალოში ავად იყო 20 კაცი და 2 ქალი. იმავე დღეს მიიყვანეს 5 კაცი: ბაიანდურიანცი (6 ნაწილი, მოედნის აღმართი, ხარაზოვის სახლი), შავშიშვილი (7 ნაწილი, კახეთის ქუჩა, ასატუროვის ბაკები), ობოროტოვი (8 ნაწილი, დესიმონოვის ქუჩა, ბლეტკინის სახლი), ივანოვი საეჭვო ავადმყოფია (კალიუჩაია ბალკა, მირზოევის სახლი) და გალდოვი (7 ნაწილი, მირზოევის სახლი). ამას გარდა, მე-7 ნაწილიდგან მიხეილის სამკურნალოში წაიყვანეს ერთი ქალი და გზაზედ ეტლში გარდაიცვალა; იმავე დღეს კარგად გახდა 4 კაცი: ჩუშკინი, მაიერი, ტომაში და არჩვაძე; გარდაიცვალა 1 კაცი და 1 ქალი; 6 ივლისს საღამოთი სამკურნალოში იყო 20 კაცი და 2 ქალი. ამათში 9 კაცი რჩება და ორი საეჭვო ავადმყოფია.

6 ივლისს ღამე სამკურნალოში მიიყვანეს ერთი კაცი—ოგოროდნიკოვი (საეჭვო ავადმყოფია—3 ნაწილი, წურინოვის აფთიაქი) და ერთი ქალი—კურჩევსკაია (9 ნაწილი, სემიონოვის ვიწრო ქუჩა, № 16). გარდაიცვალა 2 კაცი: შალიკაშვილი და ტერხოვი; 7 ივლისს დილით ავად იყო 18 კაცი და 3 ქალი. ამათში 10 რჩება და 2 საეჭვო ავადმყოფია.

5 ივლისს ავად გახდა ხოლერით სერგო პეტროსის ძე ნოლიევი, 20 წლისა (6 ნაწილი, ხარფუხი), 5 ივლისს სამკურნალოში წაიყვანეს ეტლით სიმონ ოჰანეზოვი (6 ნაწილი, ხარფუხი, საკუთარი სახლი), 6 ივლისს ხოლერით ავად გახდა არტემ ასატუროვი, რომელსაც შინა სწამლობენ; 6 ივლისს გარდაიცვალა სენაკის მაზრის, სოფ. ონოღიას მცხოვრები ფილიპე ქაჯაია; 6 ივლისს გარდაიცვალნენ ხოლერით სპარსეთის ქვეშევრდომი ფეიზულააზმად ხან-ოღლი (ზეინალოვის სახლი, დამოკნის ქუჩა, 6 ნაწილი) და ბარბარე მიხეილის ასული კახელაძე, 25 წლისა (8 ნაწილი, საკუთარი სახლი).

მეტეხის ციხის სამკურნალოში 6 ივლისს მიიყვანეს ორი პატიმარი: ნადირაძე და ქალი მირელოვისა. გარდაიცვალა იმავე დღეს პატიმარი კოვალიოვი.

სიღნაღის მაზრის სოფ. კაკაბეთში 3 სა და 5 ივლისს ორი კაცი გახდა ხოლერით ავადა.

*** განჯის გუბერნატორი იუწყება: 5 ივლისს ქალაქ შუშაში ავად გახდა 4, მორჩა 5, გარდაიცვალა 2, ავად არის 25. მაზრაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 5, ავად არის 4. ზანგეზურის მაზრაში ავად გახდა 29, მორჩა 39, გარდაიცვალა 7, ავად არის 10. ყაზახის მაზრაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1, ავად არის 1. განჯაში ავად გახდა 33, გარდაიცვალა 12, ავად არის 37. ამას გარდა, ავად არის ერთი პატიმარი, კიდევ ავად გახდა 2, გარდაიცვალა 3. მაზრაში ავად არის 5. ქალაქ ნუხას ავად გახდა 6, გარდაიცვალა 5, ავად არის 3; მაზრაში ავად გახდა 1, მორჩა 5, გარდაიცვალა 1, ავად არის 3. ჯევანშირის მაზრაში ავად გახდა 15, გარდაიცვალა 5, ავად არის 25. მთელს გუბერნიაში 113 ავადმყოფია.

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 5 ივლისს სამკურნალოში მიიყვანეს 29, გარდაიცვალა 12, მორჩა 20, ავად არის 118. სამკურნალოს გარეშე გარდაიცვალა 20. გუბერნიაში ავად გახდა 79, გარდაიცვალა 48, მორჩა 18, სალიანის ბატალიონის სამკურნალოში მიიყვანეს 2, გარდაიცვალა 1, ავად არის 28.

*** ქუთაისის გუბერნატორი იუწყება: 6 ივლისს ბათუმში რამდენიმე კაცი გახდა ხოლერით ავად. 6 ივლისს ხოლერით ავად გახდა ქუთაისში ქალაქიდგან 4 დღის მოსული ოჰანეზოვი.

*** დაღესტნის გუბერნატორი იუწყება: 5 ივლისს თემირხანშურაში ავად გახდა 1, პეტროვსკში 4, გარდაიცვალა 1, ოლქებში ავად გახდა 132, გარდაიცვალა 77, მორჩა 12; ავად არის: თემირხანშურას 1, პეტროვსკში 6, კიურინის ოლქში 41, კაიტაგო-ტაბასარანის ოლქში 38, სამურისაში—22, დარგინისაში 24, ყაზიკუმიხისა და თემირხანშურის ოლქებში—7.

*** ივნისის განმავლობაში ტფილისის საწყობებსა და მაღაზიებში იმდენი კონიაკი გაიყიდა, რამდენიც ამ უკანასკნელს სამს წელიწადს არ გაყიდულა. მაგალითად, რიშარის მაღაზიაში 12,000 მანათის კონიაკი გაყიდულა. ბევრი გაყიდულა აგრეთვე სარაჯიშვილის ქარხანასა და მაღაზიებში.

*** ამ დღეებში ტფილისის პოლიცმეისტერმა ქ. ბაქოში 30 კაცამდე გაჰგზავნა, რომელთაც სურვილი გამოაცხადეს ბაქოს პოლიციაში სამსახურისა.

*** უჯარა: 5 ივლისს ავად გახდა ხოლერით მატრიონა პრიანიშნიკოვისა და მეორე დღეს დილის 7 საათზედ გარდაიცვალა. იმავე დღეს ავად გახდნენ და გარდაიცვალნენ: რკინის გზის ლიანდაგის დარაჯი კირილე მირუტინი და იმისი ძმა.

*** ქიურდამირი: 5 ივლისს ხოლერით ავად გახდა მჭედლის ალექსეევის ცოლი.

*** აჯიქაბული: 5 ივლისს სადგურს ახლო გარდაიცვალა ხოლერით სოფ. ნავაგის მცხოვრები ჯებრაილ-მამედოღლი.

*** სიღნაღი: გუშინ 5 ივლისი, წირვის შემდეგ, 11 საათზედ, ქალაქ სიღნაღის ბულვარზედ გადაიხადა სავედრებელი ლოცვა დეკ. მ. ს. ბეგიაშვილმა. სომხის სამღვდელოება გამოვიდა შემოსილი და წმიდა სამირვანეთი და ჯვარ-ხატებით, აქედამაც მიეგება დეკ. ს. ბეგიაშვილი, დადგნენ პირის-პირ, ბეგიაშვილი აღმოსავლეთით და სომეხთა სამღვდელოება დასავლეთით. ლოცვის შემდეგ დეკ. მ. ს. ბეგიაშვილმა სიტყვა წარმოსთქვა. სიტყვის წარმოთქმის შემდეგ ორივე სამღვდელოება მგალობლებითურთ სურბ-სარქისის ეკლესიაში გაემართა, იქიდგან შემობრუნდა და ავიდა წმიდა სტეფანეს ეკკლესიაში, წმიდა სტეფანიდგან დაბრუნდა და ჩამოვიდა ქვემოდ მოედანზედ და შემდეგ დაბრუნდნენ თავიანთს ეკკლესიებში, ე. ი. სომეხნი სომხის ეკკლესიაში და ქართველნი ქართვლის ეკკლესიაში. გზა და გზა ასხურებდნენ წმიდა წყალს უსუპით. ხალხი დიდ-ძალი დაესწრო ამ ლიტანიას.

*** იქიდამვე: ჩვენსკენ ხოლერის მხრივ მადლობა ღმერთს, ჯერ მშვიდობიანობაა, მხოლოდ ქუნთრუშაკი კიდევ ბოგინობს და თავს ჯერ არ გვანებებს.

*** ქუთაისი: არქიელის გორაზედ შემდეგი ამბავი მოხდა: 4 ივლისს, შაბათს, ნაშუაღამევის მეორე საათზედ, ერთ მოხუცებულ მღვდლის ოჯახს, სახელდობრ იოსებ აბრამიშვილისას, დეეცნენ ყაჩაღები, მაგრამ მალე შეიტყო მღვდლის მოსამსახურე ბიჭმა. ყაჩაღებმა ამ ბიჭას მოქრთამვა დააპი-

## ფელეტონი

### ჩვენი უთავბოლოვა

ხერხი სჯობია ღონესა.

III

ჩემის შეძლებისდა გვარად აგიწერეთ: თუ რა ჭირშია დღეს ჩვენის ხალხის ცხოვრების ერთად-ერთი წყარო—მიწის მოსავალი და რა განწყობილება აქვთ ხალხთან ხალხს გარშემოხვეულ სხვა-და-სხვა სამსახურის და წოდების კაცებს. ეხლა დაპირებისამებრ წამალიც უნდა მოგახსენოთ იმ ეკონომიურის ჭირისა, რომელიც დღითი დღე ძირს უთხრის ჩვენის ხალხის ნივთიერს და მასთან ერთად სულიერს ყოფა-ცხოვრებას. დროც არის უთავბოლობაზედ ხელი ავიღოთ და კეთილ ცხოვრების გზება შევიმუშაოთ, თორემ აი რას ამბობს რუსეთის ერთი საპატიო მწერალი: „Человѣкъ, не выработавшій себѣ идеала счастія, не построившій плана жизни, походитъ на корабль безъ руля и компаса, не управляемый опытною рукою моряка: онъ носится, гонимый вѣтромъ и волнами, и какъ мало шансовъ, чтобы этотъ корабль достигъ желаемой пристани! Тогда какъ человѣкъ со строго выработаннымъ идеаломъ счастія, это—корабль, снабженный рулемъ и компасомъ; его ведетъ опытная рука капитана, твердо знающаго морскую карту и умѣющаго бороться со всѣми невзгодами“.

ძველს სკოლას საპოლიტიკო ეკონომიისას თეორია ჰქონდა საფუძვლად და ახალს-კი—პრაქტიკა აქვს: ეხლანდელი ეკონომისტები ხალხს გვერდით უდგანან ჭირშიაც და ლხინშიაც და ისე სწერენ სახალხო ტრაქტატებს ქვეყნის წინ წასაწევად, ხოლო ძველები-კი კაბინეთში ისხდნენ და იქიდამ სჯიდნენ ხალხის ყოფა-მდგომარეობის ავ-კარგიანობაზედ. მე უბრალო მომაკვდავი ვარ და არარომელი ეკონომისტი არ გახლავართ, მაგრამ მეც თეორიას მხარს ავუქცევ და პირდაპირ პრაქტიკიდამ დავიწყებ, ე. ი. იმ უებარ წამლებზედ ვილაპარაკებ, რაც ეჭვს გარეშეა მათემატიკურ აქსიომასავით. თუმცა-კი, ვინ ამბობს, კარგი და მაღალ-აზროვანი ოცნება-თეორიაც კარგია, როგორც, მაგალითად, ამერიკელის მწერლის ბელლამის ფანტაზია: „ასის წლის შემდეგ“, მაგრამ იმ ერთის მეთევზისა არ იყოს, დღევანდელი მჭადი უნდა გვერჩივნოს ოცნებაში გამოხატულს გამტკიცულს, თორემ ბევრის ნდომით ცოტასაც დავკარგავთ და ვიდრე ბელლამისებურს კეთილდღეობის გამტკიცული გველირსება, იმის ლოდინში სულიც ამოგვხდება შიმშილით და მერე, გამტკიცული-კი არა, მთელის ქვეყნის ფლავ-ბოზბაშიც ვეღარ გაგვაცოცხლებს. დიდის სოციალური რეფორმის მოხდენას, რომელსაც შეუძლიან ამ ქვეყნიური ცხოვრების ჯოჯოხეთი საერთო სამოთხედ შეუცვალოს ყველას, დიდი ხალხის განათლება ეჭირება და დიდს-კი არა, პაწაწინა, მიკროსკოპიულ განათლებასაც ვერ შეიძენს ის ხალხი, რომელიც მარტო კუჭის საქმეებს ემსახურება წლის წლობამდის და მაინც ვალსა და გაჭირებას ვერ ამოჰსვლია ცუდის, უწეს-რიგო აღებ-მიცემისაგან. ხალხის აღებ-მიცემის გაუმჯობესობას მისის ქონებრივის მდგომარეობის განკარგება მოჰყვება, ქონებრივ ღონეს—გონების სიმდიდრე და გონების სიმდიდრეს—სანატრელ ცხოვრების წეს-წყობილება საყოველთაო ბედნიერებისათვის. თუ სამყოფი სურსათი და სამუშაო იარაღები არ გვექნება, თავის დღეშიაც უვალ ღრე-კლდეებს სავალ გზებად ვერ გადავაქცევთ, თვით მთელის ქვეყნის ფანტაზიის მოსაზრებული პლანებიც რომ გვეწყოს წინ. მაშასადამე, ჯერ ცხოვრების წყაროს წამხდარ სათავის განკარგებაზედ ვიზრუნოთ და მერე ედემის ბაღის მოშენებაზედ ვიფიქროთ, თორემ ქაჩალმა წამალი იცოდეს—თავს უწამლებდაო, კუდა ხარი თავისთვის არ იყო, სხვის აჩრდილს ბუზებს უგერებდაო, ასე დაგვცინებს მომავალი თაობა ბელლამისებურ ფანტაზიის ლოლიაობისათვის და ღირსნიც ვიქნებით დაცინვისა, როგორც ღირსია ერთსა და იმავე დროს დაცინვისაც და სიბრალულისაც ის უვიცი დედაბერი, რომელსაც შინ შიმშილით

რეს და დაარიგეს, არსად გაგვამხილოთ და მონაპარევს შენც გიზიარებთო. ამ დროს ბიჭი გაიპარა და იქვე მეზობელ ივანე დავითის ძეს გაფრინდაშვილს შეატყობინა. იმავ წამს გაფრინდაშვილმა პოლიციას მიჰმართა. პოლიციაც მალე გაჩნდა, მაგრამ ყაჩაღები ამ დროს გაიფანტნენ. მაშინვე ეს შემთხვევა ახლო-მახლო მეზობლებმა შეიტყეს, დიდი შრომა მიიღეს იმათ დაჭერისათვის და კიდეც დაიჭირეს ერთი მეგრელი, გვარად დოლაბერიძე. აი როგორ დაიჭირეს: მეზობლები გამოცვივდნენ თავიანთ სახლებიდგან თოფებით, ხანჯლებითა და კეტებით. დოლაბერიძე მორბოდა ქუჩაზედ იმავე აბრამიშვილის სახლის მახლობლად ამოღებულის ხანჯლით და თან იძახდა: არ გაუშვათ, ყაჩაღი გაიქცაო! ერთმა მიაძახა: „შენ ვილა ხარო?“, მაგრამ ხმა არ გასცა. მიხვდნენ, რომ ის იყო ყაჩაღი, და, ნებით რომ აღარ დაჰნებდა, თოფები ესროლეს და ისე ჩაიგდეს ხელში.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობის სასანიტარო დასი შეუდგა ბოსტნების განადგურებას სადგურს განჯას ახლო და ბოსტნების პატრონს თითო დესიატინაში 50 მანათს აძლევენ. („Т. Л.“)

⁂ გაზეთი „Каспий“ იუწყება: ამ უკანასკნელს დღეებში ბაქოს მახლობელ სოფლებიდგან ხალხი ისევ ბაქოში ბრუნდება, იმის გამო, რომ სოფლებში არც მკურნალებია და არც წამლები.

2 ივლისს საძკურნალოში მიიყვანეს ხოლერიანი ავადმყოფი სასანიტარო მკურნალი ა. არხანგელსკი.

ხოლერის გაჩენიდგან 1 ივლისამდე რკინის გზის მოხელეთ, მოსამსახურეთა და მათ სახლობათა შორის ავად გახდა 90, ამათში გარდაიცვალა 47, მორჩა 23, ავად არის 19.

2 ივლისს ბაქოს სამკურნალოში გარდაიცვალა ხოლერიან ავადმყოფთა მომვლელი ქალი თ. კრივოლაპოვისა.

1 ივლისს ბაქოს ნოტარიუსებს წარუდგინეს 150 თამასუქი საპროტესტოდ, რომლებითაც მოვალეებს ფული არ გადაუხდიათ. ამბობენ, ბევრი ვაჭარი გაკოტრდებაო.

---

# გაკვრით

(გზა-და-გზა გაგონილი)

იმ კვირაა ადგილობრივ გაზეთებში საოცარი ამბები ამოვიკითხეთ: აი ნიმუშებიც. გორიდგან იწერებიან, რომ დავკარგეთ ქალაქის მოურავიო, სამუდამოდ გაგვიქრა იმედი, დაბრუნდება საცოდავ გორში ჩვენი ლორდ-მერი, თუ არა. ერთის სიტყვით, არავითარი „გულს შემაშფოთარი ხმები“ არ აშფოთებს და არღვევს მის ფუფუნებასო. მაშ რახან ასეა, გირჩევთ ჩვენც კორესპონდენტთან ერთად: რა-კი მოურავი დაკარგეთ, თქვენ თავს თქვენვე მოუარეთ, გაიწმინდეთ ყოველივე სიბილწისაგან, განსპეტაკდით და ისე პირ-მოღიმარნი დახვდით შხამიანს სტუმარს. ამასთანავე გაუგზავნეთ მოციქულები მანდაურ ექიმებს და ითხოვეთ, რომ დაანებონ ბანქოს თამაშს თავი ამ „ხოლეროობას“ მაინც და თუ მშვიდობით გადარჩით, ქალაქის ხარჯით გამოუწერეთ შემდეგში ბანქო და ფეშქაშად მიართვით თქვენს ესკულაპებს მხნე და ვაჟკაცური გარჯისათვის.

⁑

გორული ამბავი თუ სამწუხაროა, ლანჩხუთიდგან მოწერილი სასაცილოა. იქაურ ექიმს შეუყრია ხალხი და დარიგება მიუცია, როგორ დახვდეს ხოლერას, და წარმოიდგინეთ საკვირველება, ერთის ყმაწვილის კაცის „ქართულის“ შემწეობით ესაუბრებოდა თურმე შეგროვილ ხალხს. ამაზედ მეტი საკვირველება რაღა გინდათ? ამ ერთის თვის განმავლობაში ჯერ სამი ქართველი ექიმი: ბროძელი, ხოპერია და ბარამიშვილი გაგზავნეს ბაქოსკენ ხოლერასთან საბრძოლველად და ჩვენში-კი ისეთები დასტოვეს, რომელნიც ხალხს „სხვისის ქართულით ელაპარაკება“. აბა რასა ჰგავს ესა? ის არა სჯობდა, ი ქართველი ექიმები აქ დაეტოვებინათ და ეს საკვირველი ექიმი, რომელიც „სხვის ენის“ შემწეობით ელაპარაკება ხალხს, იქ გაეგზავნათ, საცა სხვისის ენის დახმარება არ დასჭირდებოდა? ამას ღმერთიც მოიწონებდა და ხატიც. თორემ აბა რა გამოდის, შინ ბავშვები ტირიან და ტაბლას-კი გარეთ მიარბენინებენო!..

---

## მეცნიერებისთვის წამებულნი *)

დღეს განათლებული კაცი ბრწყინვალე ვარსკვლავების დანახვაზე განცვიფრებით არა გვკითხავს: აი ის ცეხლი იქ ვინ დაანთოვო? ან ჭექა-ქუხილს რომ გაიგონებს, არ იტყვის, ილია წინასწარმეტყველი დაარბევინებს თავისს ეტლსაო; ძლიერი ქარი რომ ამოვარდება, არ ინატრებს ნეტავი იმ ორმოსთან გამაჩინა, საიდანაც ასეთი ქარი ამოჰქრისო, ისე-კი დავხურავდი ბადიმებს, რომ თავის დღეში ქარის სისინიც არ გაგეგონოთო.

ჩვენ დღეს ასეთი სასაცილო სიტყვა-პასუხი არ გვეყურება და ძალიანაც დავშორდით იმ ველურს ხალხს, რომელნიც ისევ შიშველ-ტიტველნი დადიან და კაცობრიობის მაღალ დანიშნულებაზედ არა ფიქრობენ, იმათ აქამდის თავიანთი ენის ანბანიც-კი ვერ მოუგონიათ. ასეთი დიდი ცვლილება ჩვენ და ველურ ხალხ შორის მოახდინეს მეცნიერებმა. ეს საქმე ამათი ჩადენილია. ამათ დაგვანახვეს დედამიწის სახე. ამათ მიმოვლეს ცისური კიდეები და აგვიხსნეს: რა არის მზე, მთვარე, ვარსკვლავები და რა კავშირი აქვთ ერთმანეთში. ამათ აღმოაჩინეს ბევრი ახალი ქვეყნები, გაიარეს იქ, სადაც მანამ კაცს ფეხი არ დაედგა. ამათ აგვიხილეს თვალები და დაგვანახვეს სინათლე. ეხლა აღარც ეშმაკია ჩვენთვის; ველარც მკითხავები დაგვაჯერებენ თავიანთ ცრუ სიმართლეს. ალი, ჭინკა-ქაჯებიც აღარავის ელანდება ეხლა. მეცნიერნი კაცობრიობისთვის იღვწოდნენ და იმისთვის არასა ზოგავდნენ, არც შრომას, არც ცხოვრებას, არც სიცოცხლეს და მომეტებულ ნაწილად-კი თანამედროვენი კეთილისთვის ბოროტს უძღვნიდნენ, ყოველის მხრით სიცოცხლეს უმწარებდნენ და უშხამავდნენ: ბევრისთვის შეუყრიათ ფეხებში ბორკილი და საპყრობილეში გამოულპიათ, ზოგიც კოცონზედ დაუწვავთ, ბევრიც სიღარიბე-სილატაკეში დახოცილან, როდესაც იმათი გამოგონილი მანქანებით სხვები მდიდრდებოდნენ.

ყველა ეს კაცობრიობისთვის ტანჯულ-გვემულნი მეცნიერნი აღზარდა დასავლეთმა ევროპამ.

მოვიხსენოთ ეხლა, ბედმა რა არგუნა წილად იმ მეცნიერთ, ვისი სწავლა-მეცნიერებითაც ჩვენა ვტკბებით და ვხარობთ, რომელთაც გამოგვიყვანეს სიბნელიდგან სინათლეზედ და ცხადად თვალ-წინ დაგვიხატეს ქვეყნიერობის შექმნის საიდუმლო.

დავიწყოთ ვარსკვლავთ-მრიცხველებით. ამ სამოცის წლის წინად ევროპაში, ქალაქს ნიურნბერგს, მივიდა ერთი 17 წლის ჭაბუკი, სახელად კასპარ ჰაუზერი. ნიურნბერგში მისვლამდის ეს ყმაწვილი ესე 12 თუ 13 წელიწადი დამწყვდეული ჰყოლოდათ სარდაფში; საწყალს თავისს დღეში მზის შუქი არ ენახა. არც ერთი საგნის მნიშვნელობისა არა ეყურებოდა-რა, მარტო ყოფნას ისე გამოეყრუებინა, რომ ლაპარაკიც-კი დავიწყებოდა. როცა თავისუფლება მიანიჭეს, ყმაწვილმა ჩქარა ისწავლა ლაპარაკი და ცოტათი ყველაფერს ჩახვდა. შემოდგომის ერთს მშვენიერს ღამეს ჰაუზერი შეახედეს ზეცას, ყმაწვილმა რა დაინახა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, ისე განცვიფრდა და გაჰკვირდა, რომ დიდხანს იყო ასე ქვა-ნაკრავივით გაშტერებული. როცა გონს მოვიდა, ჰაუზერმა დაუწყო კითხვა, ვინ დადგა იქ ამოდენა სანთლები, ვინ ანთებს, ან დილით ვილა აქრობსო... განცვიფრებულს ყმაწვილს ყველაფერი აუხსნეს. ერთს დროს მთელი კაცობრიობაც ასეთივე ცნობის მოყვარეობით შესცქეროდა ცას, ასეთივე კითხვებს იძლეოდა, მაგრამ ნამდვილი და სწორი პასუხის მიცემა გალილეიმდის ვერავინ ვერ შესძლო. გალილეი დაიბადა 1564 წ. იტალიაში, ქალაქ პიზას. იგი იყო სიყმის შვილი ვიჩენცო გალილეისა. ვიჩენცო ღარიბი კაცი იყო, მამა პაპათაგან არა დარჩენოდა-რა და ამიტომ უნდა ბევრი ემუშავნა და ემეცადინა, რომ ეშოვა საღსარი ცხოვრებისა და ასე გამოეკვებნა თავისი დიდი ოჯახი—ვინჩენცოს ექვსი შვილი ჰყავდა. შეუძლებლობის გამო მოხუცი გალილეი იძულებული იყო მომეტებულად ფლორენციაში ეცხოვრნა, სადაც ბავშვებს მუსიკას ასწავლიდა და ასე შოულობდა ორიოდე გროშს ცოლ-შვილის სარჩენად. ამიტომ გასაკვირველი არ არის, თუ რომ ვინჩენცი თავისს შვილს შემოსავლიან სამსახურისთვის ამზადებდა. ის ყმაწვილი გაგზავნა პიზას ექიმობისა და ფილოსოფიის შესასწავლად. მაგრამ ამ ორმა საგანმა ვერ დააკმაყოფილა ცნობის მოყვარე ყმაწვილი. ჯერ ისევ პატარა იყო, რომ სხვა-და-სხვა მანქანებს იგონებდა. თვით მასწავლებლებს აკვირვებდა გალილეის ცოცხალი ჭკუა და კვირცხლი თვალები. ყმაწვილი გალილეი აკვირდებოდა ყველაფერს, რაც-კი შეხვდებოდა, იკვლევდა, თუ ეს საგანი ასეთი რად არის, ის მოვლენა რისგან წარმოდგა და სხვა... იგი სხვის ნათქვამს პირდ პირ არ იჯერებდა, დააკვირდებოდა და განსჯიდა ხოლმე, მართალს მეუბნება ეს კაცი, თუ ტყუილსაო. ასეთი ცნობის მოყვარე ყმაწვილის კითხვებზე ბევრს ვერას მიუგებდა საშუალო საუკუნოების სქოლასტიკა. ამიტომაც გალილეი იძულებული იყო თავისით გამოეკვლია, რაც მას სტანჯავდა და თავისსავე აღძრულ კითხვებზე თავადვე მიეცა პასუხი..

ერთხელ 19 წლის გალილეი პიზას სობოროში იდგა. ტაძრის შუა ჩამოკიდული ჭრაქი ანთების დროს შეინძრა. გალილეის გონება მიიპყრო ამ ჭრაქმა, და ჩვეულებრივ დააკვირდა ამ მოვლენას და ცოტა ხნის დაკვირვების შემდეგ შენიშნა, რომ ჭრაქი თანაბრათ და უმეტ-ნაკლებად ციმციმებდა, ე. ი. პირველ წამში იმდენჯერ გაიციმციმებდა, რამდენჯერაც მეორე წამში. აი, ამ თანაბრად მოციმციმე ჭრაქის შემწეობით იპოვნა საშუალება, დროს უმეტ-ნაკლებოთ გაზომვისა. ამას შემდევ ხომ არ დაცხრომილა გალილეი, იკვლევდა სხვა-და-სხვა მოვლენას და აღმოაჩინა კიდეც ბუნების რამდენიმე კანონები: 1609 წ. გამოიგონა ტელესკოპი, რომლის შემწეობითაც პირველად გალილეიმ შენიშნა მზეზე შავი წერტილები. ამავე დროს უმტკიცებდა ხალხს, რომ ჩვენი დედამიწა ბრუნავს მზის გარშემოვო და სხვა მრავალს ახალს უამბობდა ცის მნათობებზე, მაგარ დააცალეს მეცნიერს მშვიდობით რომ დაელია თვისი დღენი და ემუშავნა, სანამ შეეძლო, კაცობრიობის კეთილ-დღეობისთვის. აბა ვინ დაუთმობდა გალილეის პაპის წინააღმდეგ ლაპარაკსა. წმიდათა-წმიდა პაპი ურბან VIII ამბობდა, რომ დედამიწა დგასო, ვილაც გალილეი-კი გამოსულა და ამტკიცებდა, რომ დედამიწა-კი არა სდგას, ტრიალებსო, პაპამ გარდასცა გალილეი ინკვიზიციას. გალილეი დაიჭირეს და ჩასვეს საპყრობილეში, თითქო ერთი დიდი დანაშაული მიუძღვოდა სამშობლოს და ქვეყნის წინაშეო. რამდენიმე დღის შემდეგ მიიყვანეს იგი მინერვას ტაძარში, სადაც შეყრილი იყვნენ ინკვიზიციის მე-

*) ეს ცნობები ამოკრეფილია გაზ. „Нов.“

---

ბალღები უწყდება და გარედ ტაბლას მიარბენინებს იმ იმედით, რომ ჩემი მკვდარი მშიერი იქნება და მუცელს გაიძღობსო.

დიდს სარგებლობას მოუტანს კაცობრიობას ის რომანისტი, რომელიც ახალ-თაობას ნათლად დაუხატავს რომანიულის ფერადებით სამოქმედო პროგრამას კეთილ-ცხოვრების მისაღწევადაო, სთქვა ბერანჟემ, და ბელლამი-კი სულ სხვაფრივ მოიქცა: დაგვიხატა—ეკონომისტებისაგან წინადვე გამოთქმული—ამ ქვეყნიური სამოთხე და ის-კი აღარ გვასწავლა, რა გზით უნდა მივაღწიოთ ხსენებულ სამოთხეს, რომ გვცოდნოდა და ჩვენც იმ გზაზედ გვევლო უტყუარის იმედით აღფრთოვანებულებს. ცარიელი მომლოდინე ოცნება-კი: ას წლამდე ისე განათლდება ხალხი, რომ ამ ფანტაზიას განახორციელებსო, ამასა ჰგავს: აცა, ვირო, ნუ მოჰკვდები, გაზაფხულზედ ბწვანე მოვაო. არა, ჯერ თაო და თაო, მერე ცოლო და შვილო, ანუ ჯერ ნამდვილო და მერე ფანტაზიავ, თორემ თუ-კი მარტო ფანტაზიაზედ მივარდება საქმე, ქართველებზედ კაი გულის მომფხან ფანტაზიას თვით მთელის ქვეყნის მეფანტაზიორებიც ვერ გამოაცხობენ. მაგალითად, წარსულ შემოდგომაზედ მე და ჩემი მეზვრე მოსაშენებელ არხებსა ვყრიდით ვენახის სანაპიროში; უცბად ზურმუხტის ცამ ძალზედ დაიგრიალა, სამშობლოს ბუმბერაზ-მთებმა ღრიალ-გუგუნით ბანი მისცეს, ღრუბლები ვეშაპებივით დაეჯახნენ ერთმანეთს, წვიმამ კოკი-პირულად დაუშვა და ვენახის ქოხისაკენ გამოგვაქანა ამოზუნზლულები. სულ-განაბულები ვუყურებდით ღვარქაფიან წვიმას და ბოლოს აი რა სთქვა მეზვრემ: „ჰეი, რა კარგი იქნებოდა, ე ტიალი, ღმერთი რო წყლის ბადლად ღვინოს აწვიმებდეს, თოვლის ბადლად—ფქვილს და სეტყვის ბადლად—ხახვსა და ნიორს. ჰეი, პა, პა, პა! მაშინ აღარც გაჭირებავ, აღარც ტანჯვავ, აღარც წამებავ, აღარც შურო, აღარც მტრობავ. ყველა შინ ექნებოდა გლეხ-კაცობას და მარტო შეშა-ფიჩხი-ღა თუ მოუნდებოდა, მაგრამ ი რა ჩემი ფეხებია, იმას ხომ ყოველთვინ იშოვნიდაო“. აბა ამაზედ კაი ფანტაზია რომელი-ღაა, მართლა რომ ასე ყოფილიყო? ვინ იცის, იქნება ერთ დროს ქიმიის საკვირველ-მოქმედებამ იქამდისაც მიაღწიოს, რომ ყოველი ადამიანი უდარდელად იჯდეს თავის კერასთან და საკუთარის მანქანით ცხოვრების სარჩო-სანოვაგეს იმზადებდეს ჰაერიდგან. მაგრამ მე ამას გთხოვთ და მოგახსენებთ: ჯერ საქექო ფანტაზია იქით გადავსდოთ, ეხლა ადვილად შესაძლებზედ ვიზრუნოთ და ბოლოს ძნელად გასახორციელებელ ფანტაზიაზედ ვიფიქროთ, ანუ ჯერ ისე ვიმჭკავნოთ და იმდენი საგზაო სურსათი ვიშოვნოთ, რომ ბელლამისებურ სამოთხის კარამდის მივაღწიოთ ყველამ, და მერე, რაკი იქამდის მივალთ, თუნდ კარიც არ გაგვიღონ, ძალით შევამტვრევთ... და რაც შეეხება პროგრამის შემუშავებას, თუ რა და როგორ უნდა ვიმოქმედოთ ხსენებულს სამოთხეში—ეს სულ უბრალოა: მოქმედების პროგრამას სამოთხეში უფრო უკეთესად შევიმუშავებთ, ვიდრე ჯოჯოხეთში, და, მაშასადამე, წინადღითვე ბელლამისაგან შემუშავებულ პროგრამმას ბევრად დავამჯობინებთ... არა, ჯერ საფუძველი საქმისა და მერე პროგრამმა, თორემ ღვინო არსად იყო, ტიკებს ამზადებდნენო,—იტყვიან შხამ-გესლიანის დაცინვით. მაშ ისევ საქმეს მივუბრუნდეთ.

დაუცხრომელი გარჯა-შრომა წყარო გონებითისა და ქონებითის სიმდიდრისა და სიმდიდრე გონება-ქონებისა სათავეა ქვეყნის მრავალ გვარ კეთილ-დღეობისა. მხოლოდ გარჯა-შრომა ორგვარია: გონივრული და უმეცრული. ყველამ ვიცით, რომ ჩვენი მდაბიო ხალხი რკინასავით ნაწრთობია ვაი-ვაგლახიანს შრომაში, მაგრამ ესეც ვიცით, რომ დღეს იმისი გარჯა-შრომა უმეცრულია და არა გონივრული, რადგანაც „დრო შეიცვალა, გამეფდა სწავლა“ და ის-კი, სხვა მრავალ უმეცრებას გარდა, თავის უცოდინრობის გამო ისევ ნოენდელ ხე-მიწად-მოქმედების იარაღებს ეკვლევინება და ერთის დღის გასაკეთებელს ათს დღეშიაც ძლივს აკეთებს რის ტანჯვა-წამებით. ხერხი სჯობია ღონესაო, უთქვამთ ჩვენს წინაპრებს! მაგრამ ეს გონივრული ანდაზა დღესაც ვერ განუხორციელებია საქმით ჩვენის ერის უმრავლესობას იმ მიზეზით, რომ არც თითონ აბადია იმდენი ცოდნა და არც შეძლება აქვს, შვილები რიგიანს სწავლაში გამოზარდოს და იმათის ცოდნის

თაურნი. წაუკითხეს მსაჯულთ განაჩენი მეცნიერ-ტუსაღს, რომლითაც აღკრძალულ იქმნა გალილეის ნაწერები და თვით ვარსკვლავთ-მრიცხველისათვის მიესაჯათ ციხეში ჯდომა, განთავისუფლება-კი ამ სასჯელიდგან პაპის ნებაზე იყო, მაგრამ ესეც არა კმარეს: გალილეის უნდა დაეჩოქნა კარდინალთა და პრელატთა წინაშე და ისე უარეყო ის სწავლა, რომელსაც ამდენი ტანჯვა-წვალებით მიახწია. მართალია, ხმა მაღლა არ ულიარებია გალილეის, მაგრამ გულში მაინც მტკიცედ დარჩა ის რწმენა, რომ „დედამიწა მაინც ბრუნავსო“. ამის შემდეგ ჩააგდეს გალილეი საპყრობილეში. სიკვდილის წინად გალილეიმ დაჰკარგა თვალის სინათლე და ველარ შესძლო ჰვრეტა იმ ცისა და იმ მნათობთა, რომელთა ბუნებაც ჩვენ დაგვანახვა. უკანასკნელ ჟამსაც არ მოუსვენეს მოხუცს და ბრმა გალილეის საპყრობელში მუდამ დასცინოდნენ და ჰგმობდნენ. ასე ტანჯვა-წვალებით გამოასალმეს დიდი მნათობი ქვეყანას, რომელსაც იმოდენა სიკეთე მოუტანა.

ზ. ფრონელი.

---

# რუსეთი

## უწესოება ასტრახანში

(დასასრული *)

იმავე დღეს, სალამოს 7 საათზედ, ხალხი მივიდა პოლიციის პირველ ნაწილთან და ფანჯრები ჩაამტვრიეს პოლიციისა. ბოქაულმა ბევრი ამშვიდა, მაგრამ არა გამოვიდა-რა. ბოლოს პოლიციელები გაიქცნენ. ხალხი შეცვივდა პოლიციაში და ერთს პოლიციელთაგანს საშინლადა სცემეს. ამავე ბრბომ ხალხისამ გასძარცვა რამდენისამე მეხილეს დუქანი და ერთიც არყისა. ხალხი ქუჩაში ჰყვიროდა, უსტვენდა და გამვლელ-გამომვლელთ შეურაცხებას აყენებდა.

შემდეგ, როგორც დეპეშიდგან ვიცით, ბრბო ხალხისა გუბერნატორს მიუხდა. დუქნები და მაღაზიები დილიდგანვე ყველგან, მთელს ქალაქში, დაკეტილი იყო. გუბერნატორი აივანზედ გამოვიდა და იკითხა, ხალხს რა ჰსურსო? ხალხმა ყაყანი დაიწყო: „ცოცხლებს რად ჰმარხავთ? ავადმყოფები საავადმყოფოში რად მიგყავთ, მათის სურვილის წინააღმდეგაო“. ყაყანი უფრო გაძლიერდა, ასე რომ იმათის ლაპარაკისა აღარა ისმოდა-რა. გუბერნატორმა სთხოვა, დაიშალენითო, თქვენ-თქვენს სახლში წადითო, მაგრამ ქვები დაუშინეს მის სახლს, შებრუნდა თუ არა იგი. ამ გარემოების რამდენჯერმე განმეორებამ გუბერნატორი იძულებულ ჰყო ჯარისთვის სამწუხარო ბრძანება მიეცა. გაისმა თოფების სროლა... ხალხი აღელდა, კვნესა-გმინვა გაისმა დაჭრილებისა, რომელთაც ფეხითა ჰქონდავდნენ უკან გაბრუნებულნი მეამბოხენი.

11 საათზედ ქუჩაზედ არავინ იყო, ყველანი მიიქსაქს-მოიქსაქნენ. მოკლულნი და დაჭრილნი დაიზინავეს, გუბერნატორის სახლის წინ დარაჯი იდგა. ზოგიერთნი მეამბოხენი მოფარებით სახლებიდგან ქვებს ესროდნენ დარაჯად დაყენებულს ყაზახებს. რამდენიმე ყაზახი დაიჭრა.

22 ივნისს ნასვამმა ბრბომ, რომელთაც თათრებიც მიუამხანაგდნენ, გაანადგურეს და აიკლეს სახაიე. რამდენსამე საათში სულ ერთიანად მილეწ-მოლეწეს იქაურობა, ასე რომ დედაკაცები და ყმაწვილებიც-კი ფიცრებს ეზიდებოდნენ და ამტვრევდნენ. ამ ღამეს არავის სძინებია მთელს ქალაქში, ყველანი დიდს შიშში იყვნენ და რაღაცა საშინელსა და საზარელს მოელოდნენ, თუმცა-კი არა მომხდარა-რა. 22 ივნისს მთელს ქალაქში ერთი დუქანი არ გაღებულა, ქუჩებში დარაჯები დადიოდნენ. ადგილობრივი გაზეთები 23 ივნისს არ გამოსულა.

*) იხ. „ივერია“, № 142.

---

# წვრილი ამბავი

საფრანგეთის დეპუტატს დელონილს 1890 წ. „სამსოფლიო გამოფენოდ“ გამოუგონია ვარსკვლავთა განსახილველი ტელესკოპი, რომლითაც ზედა პირი მთვარისა ისე სჩანს თურმე, თითქოს ადამიანი რამდენსამე საჟენის მოშორებით იდგეს მთვარესთან და ისე შეჰყურებდესო.

— შტუტგარდტის მცხოვრებნი ძალიან აღშფოთებულნი არიან ერთის თვითმკვლელობის გამო. ამას წინად ამ ქალაქის მდ. ნეკკარში თავი დაირჩეს თხუთმეტის წლის ბიჭმა და ცამეტის წლის ქალმა. ეს ცამეტის წლის ქალი ფეხ-მძიმედ იყო და დღე-დღეზედ დედობას მოელოდდა. თავისი ცოდვა რომ ვეღარაფრით დაჰფარა, ბოლოს თურმე და თავი მოიკლა. უმაწვილმა კაცმა, მისმა არშიყმა, მისი სიკვდილი ვერ აიტანა და ისიც თან გაჰყვა.

— ჩერნოგორიაში თავის მოკვლა დიდ ცოდვად და დანაშაულად არის მიჩნეული. ამას წინად ცეტინიეს მკვიდრნი დიდად აღელვებულნი იყვნენ იმის გამო, რომ ერთს ვაჭარს თავის მოკვლა განეზრახა. ამ ვაჭარს დიდ-ძალი ვალები ჰქონდა და მოვალეებს რომ ძალიან შეეწუხებინათ, თავის მოკვლა მოუნდომებინა. რევოლვერი დაეცა საფეთქელში, მაგრამ ხელი აჰკანკალებოდა და ტყვიას სასიკვდილოდ არ დაეშავებინა. ავადმყოფი გაჰგზავნეს საავადმყოფოში, სადაც მეორე დღეს მასთან მივიდა თავადი ჩერნოგორიისა და საყვედური უთხრა ასეთის უღირსის საქციელისათვის. თავადმა ბრძანება გასცა, ჩემის ქონებიდგან გადაუხადეთ მაგ ვაჭარს ვალები და ეგ-კი, მორჩენისთანავე, აიბარგოს აქედგან და მაგისი ფეხი ჩვენს მიწა-წყალზედ ნუღარ იქნებაო. რამდენისამე დღის შემდეგ გამოვიდა ბრძანება, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „მარტო ოდენ ერთს ღმერთს, რომლისაგანაც მორიჩებული გვაქვს სიცოცხლე, შეუძლიან მისი წართმევა, ადამიანიშვილმა-კი თავისი სიცოცხლე მარტო თავისს სამშობლოსათვის უნდა გასწიროსო.

— გაზ. „Italie“ ერთის საოცარ ოპერაციის ამბავს იუწყება. ამ ოპერაციამ ვენის მკურნალებს შორის დიდი ბაასი აიტეხა თურმე. ეს ოპერაცია გაუკეთებია პროფესორს მოსეტიგს ერთის ზნედით შეპყრობილისთვის. ეს ზნედით შეპყრობილი თვრამეტის წლის ბიჭია და ყოველ დღე ორჯელ-სამჯელ ზნედა ემართებოდა. პროფესორმა დააძინა თურმე ეს ბავშვი, თავის ქალა აჰხადა და ტვინიდგან ერთი ნაწილი ტვინისა, უომრავლის ფერისა, ამოუღო. ავადმყოფმა ეს ოპერაცია კარგად აიტანა და მას შემდეგ ზნედა აღარ დაჰმართებია. სიცოცხლის მხრივ საშიში არა სჭირს-რა.

---

# დეპეშა

7 ივლისი

**პეტერბურგი.** ოფიციალურად: ხომებს იღებენ, რომ ხოლერა არ გავრცელდეს ყაზანის გუბერნიაში.

უკანასკნელ დღეებში ხოლერით გარდაიცვალა ასტრახანსა და მაზრებში 503, ბაქოსა და მაზრებში 227, პოკროვსკაიაში—151, სარატოვსა 105, განჯის გუბერნიაში 90, დაღესტანში 71, სამარასა და მაზრებში 55, ცარიცინში 54, თერგის ოლქში 24 და კამიშინსკის მაზრაში 11.

გუშინ სალამოს დაბრუნდა სტოკჰოლმიდან ფინანსთა მინისტრი და იცხოვრებს აგარაკს შუვალოვში პეტერბურგის ახლო.

უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, რომ მოსავალს კაი პირი უჩანს. მდარე მოსავალია მხოლოდ ჩრდილოეთ შავ-ნიადაგიან გუბერნიებში.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** მოქალაქე კიტაევი, რომელსაც ბრალდებოდა გავრცელება ხმებისა, ვითომც ხოლერა რუსეთში მოუგონიათო, რათა დარწმუნდეს ხოლერის არსებობაში, დანიშნეს სასანიტარო სამკურნალოს მოსამსახურედ, სადაც მიიყვანენ ხოლერით ავადმყოფებს.

8 ივლისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება იმ პირობების შესახებ, რა პირობებითაც უნდა შემოუშვან რუსეთში შუა აზიის საქონელი. იქიდგან მოსული ბამბა, მატყლი და სხვა საქონელი ადრევე დეზინფექციის ქვეშ უნდა იყოს გატარებული; მგზავრები 7 დღეს კარანტინს ქვეშ უნდა იყვნენ. აღკრძალულია შემოტანა გაუკეთებელის ტყავებისა ნაწლავებისა და ხილეულობისა, ლიმონსა და ბროწეულს გარდა.

**ლონდონი.** „Daily Chronic“-ი იუწყება ქაბულიდგან, რომ ავღანისტანის ემირმა 70,000 კაცამდე ჯარი მოიხმო, რათა ამბოხება მოესპო ხაზარში, მაგრამ ზოგიერთნი ტომნი არ მივიდნენ იმ მიზეზით, რომ დიდად გაჭირვებულს მდგომარეობაში ვართ და რუსეთთან რაღაცა ინტრიგები არსებობსო. ასეთი შერყევა უფლებისა უეჭველია საერთო ამბოხებას გამოიწვევს; დასთა მოსარიგებლად ემირს განზრახვა აქვს სალმრთო ომი გამოაცხადოს. როდესაც წინადადება მისცა ამის შესახებ ემირს ინდოეთის ვიცე-კოროლმა, შემდეგი პასუხი მიუვიდა: „უარს ვამბობ რაიმე რჩევა-დარიგება მივიღო ინდოეთის მთავრობისაგან; ვზრუნავ რა კანონიერად მოვსპო ამბოხება ჩემს სახელმწიფოში, ვითარცა დამოუკიდებელს მბრძანებელს, მევე შემძლიან ღონე და სახსარი ამოვირჩიო ამ ამბოხების დამხობისა და ამ საქმეში არავის ჩარევის ნებას არ მივცემ“.

პარლამენტის არჩევანებზედ საბოლოოდ ამორჩეულ იქმნენ 261 კონსერვატორი, 50 უნიონისტი, 272 გლადსტონის მომხრე, 9 პარნელისტი, და 68 ანტიპარნელისტი. კონსერვატორებმა კვლავ 17 ადგილი დაიჭირეს, უნიონისტებმა 8 და გლადსტონმა 76.

**ვენა.** უპორტფელო მინისტრის ზალესსკის კანცელარიაში სჯა-თათბირი იყო იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მიღებულ უნდა იქმნას გალიჩინსა და ბუკოვინში ხოლერის გავრცელების წინააღმდეგ. სჯა-თათბირში მონაწილეობას იღებდნენ პოლონელთა საპარლამენტო დასის მეთაური იავორსკი და ხუთიც სხვა პოლონელი დეპუტატი. ეს სჯა-თათბირი გამოიწვია საეჩოს იმ მოხსენებამ, რომ ეს სენი ვრცელდებაო. ამბობენ, რომ ჯარის აღლუმი, რომელიც სექტემბრის დამდეგისთვის იყო დანიშნული გალიჩინში, აღარ მოხდებაო. უეჭველია, სხვა დროსათვისვე იქნება გადადებული იმპერატორის ფრანც იოსების მოგზაურობა ლვოვის სანახავად. აქ იმ აზრისანი არიან, რომ, ჩვეულებრივ საკარანტინო ღონისძიებათა გარდა საზღვრებზედ, ავსტრიის ბევრს ქალაქში დაარსებული იქნება ადგილობრივი კომიტეტები ხოლერასთან საბრძოლველად. ამბობენ აგრეთვე, რომ სასჯა-თათბირო პროგრამაში ჩარიცხული იყო აგრეთვე საკითხი ებრაელთა რუსეთიდგან გადასახლების შესახებაო.

**პეტერბურგი.** 7 ივლისი. ბირჟა: ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლებში იძლევიან 6% $102^1/_4$, 5%—$99^1/_4$, ქუთაისისაში: 6%—$102^1/_2$, 5%—$99^1/_2$, ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციებში—$98^3/_4$.

1 ივლისს მომხდარ სახელმწიფო ბანკის მე-55 ტარიჟში მოგება ხვდა

---

აჩრდილით მაინც ისწავლოს ცოტაოდნად ხერხიანი გარჯა-შრომა ოქროს მთა-ბარიანს მიწა-წყალში თავისა და ქვეყნის საბედნიეროდ. ინგლისელებზედ უნაყოფო დედამიწა არავისა აქვს და საზოგადოდ იმათზედ მდიდრულად-კი არავინა სცხოვრობს, რადგანაც იმათმა დაუცხრომელმა გარჯა-შრომის გონივრულმა უნარმა თვით უნაყოფო სალ-კლდეებსაც-კი იქ კეთილი ნაყოფი გამოალებინა. ჩვენზედ ნაყოფიერი მიწა-წყალი თითქმის მთელს დედამიწის ზურგზედაც არავისა აქვს და ჩვენის გლეხ-კაცობისთანა ჭირ-ვარამიან ცხოვრებას თვით აფრიკის ველურებიც არ ატარებენ: იმათ ულმერთო მოვალეები სარგებლის სარგებელში სახლ-კარს მაინც არ უყიდიან თავში ცემით. მაშასადამე, მიწა-წყლის სიკარგე დიდს არას ჰნიშნავს, თუ თითონ ხალხი არ ვარგებულა და უმეცრულად ირჯება ცხოვრებაში. დიაღ, „კაცი გაანათებს ადგილს და არა ადგილი კაცს“. „მცოდნე და მოხერხებულის კაცის ხელში საწამლავიც მკურნალობს და უტვინო ბაღანა-კი რძის საჭმელშიაც დაირჩობა ხოლმეო“, მშვენივრად ამბობს ერთი ჩვენი საპატიო პუბლიცისტი. ერთის სიტყვით, გონივრული გარჯა-შრომა დამბადებელია ხალხის კეთილ-ქონებისა, მაგრამ გონივრულ გარჯა-შრომას პატარაობიდგანვე შესწავლა ეჭირვება და შესწავლას ფულები უნდა. ჩვენ-კი, ქართველები, ფულებზედ უკაცრაოდ გახლავართ და ამის მიზეზით დღესაც კუს ნაბიჯით მივბობღავთ ცხოვრების ნარ-ეკლიანს გზაზედ. ეხლა თავის თავად იბადება შემდეგი კითხვა: მაშ რა უნდა ვქნათ, რომ ამ მომაკვდინებელ მდგომარეობას დაეღწიოს ჩვენის ქვეყნის უმრავლესობა?—რადგანაც ზეციდამ ფულებს არავინ ჩამოგვიყრის მწარე ცხოვრების გასატკბილიბლად, არც მთავრობას შეუძლიან ლატაკები გაგვამდიდროს და არც არავინ ბელლამისებურ სამოთხეს მოგვაჩეჩებს ძალის-ძალად, ამისათვის ერთად-ერთი წამალი თავის შველისა ეს-ღა დაგვრჩენია, ჩემის ფიქრით: ჩვენი ხალხის დღევანდელ გარჯა-შრომის ყოველ გვარი ნაყოფი ისეთ წეს-რიგიან ცხოვრების გზას უნდა დაადგეს, რომ ათას ნაირ ორფეხა ძ ღლსა და ღორს ველარ გაჰქონდეს თავისაკენ, როგორც დღეს გააქვთ და გამოაქვთ ბზის ფასად ხალხის ოფლით ნაწვავ-ნადაგი ჭირნახული სყიდვით, ერთი ათად ნასესხებ ვალებში თუ მამა-სისხლად მისყიდულ ნაყარ-ნუყარ სავაჭროებში. აი მაშინ ქონების ფიტს მოიკრავს ორ-ფეხა მგლებისაგან გაყვლეფილი ქვეყანა, გაიუმჯობესებს მეურნეობას, ამ ერთად-ერთს წყაროს ცხოვრებისას, გაუჭირვებლად აუგებს შვილებს სწავლა-ცოდნის ტაძრებს, ნელ-ნელა აკოკრდება ქონება-გონების სითბონათელით და ბოლოს მთლად აყვავდება კიდეც თბილისა და ტკბილის სიცოცხლით ღაღანა გაზაფხულის ველმინდორივით. უიმისოდ-კი, ე. ი. ვიდრე ძირიან-ფესვიანად არ შეიცვლება ჩვენის ქვეყნის დამღუპველი ალებმიცემა, ვიდრე ჩვენც არ გამოვიცვლებით და არ მოვიშლით ყველაში ჩვენებურს, ბედოვლათურს ხელ-გაშლილობას ხელ-მოჭერილ, გონივრულ ცხოვრებისათვის, მინამ ჩვენის ქვეყნის სათვალჩინოდ წარმატება ყოვლად შეუძლებელია. „ადამიანი მაშინ არის სასაცილო, როცა ის სხვა ნაირად გიჩვენებთ თავს და არა ისე, როგორიც არის. მაგალითად: ლატაკი, უმეცარი, ნაცარქექია, ავადმყოფი, თუ ბებერი არ მოგვგვრით სიცილს, ვიდრე ისინი თავის ქერქში არიან. მაგრამ როცა ბებრუცანა სცდილობს თავი ახალგაზდად მოგაჩვენოთ, როცა ავად მყოფი კარგა მყოფად ითვლის თავს, როცა ლატაკი ჩალიშობს დოვლათიან ადამიანად მოგვეჩვენოთ, როცა უმეცარი მეცნიერებაში თავსა სდებს და ნაცარქექია—ბაყბაყდევებში, მაშინ-კი ყველანი სასაცილონი და სამარცხვინონი ხდებიანო“, ამბობს დიდი პესსიმისტი ლეოპარდი და აი ეს ჩვენმა ქალებმა და კაცებმა კარგად უნდა დაიხსომონ, რადგანაც ასეთი საზიზღარი და ოჯახის დამღუპავი სენი დღეს თითქმის ყველასა სჭირს ჩვენში და განსაკუთრებით უფრო მანდილოსნებს: სახლში რომ კატაც შიმშილით უკვდებოდეთ, იმ კარგ-უნახავ კატის პატრონები გარედ ფარჩის კაბებით დაფარფაშობენ და სხვა მრავალი. განა გამგელკაცებული მოვაჭრე-მოვახშეების გაყვლეფა-კი არ გვეყოფა, რომ ჩვენს ლატაკს თავს ჩვენც არა ვყვლეფავდეთ ჩვენის უკუნურებით?!

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

შემდეგ მომგებიან ბილეთები პირველს შინაგან სესხისას:

ხუთას მანათიანი მოგება:

| №№ ბილეთ. | №№ სერ. | №№ ბილეთ. | №№ სერ. | №№ ბილეთ. | №№ სერ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1598 | 18 | 17717 | 37 | 793 |
| 1 | 2253 | 19 | 3579 | 37 | 2131 |
| 1 | 5607 | 19 | 4074 | 37 | 9823 |
| 1 | 7508 | 19 | 8885 | 37 | 14131 |
| 1 | 9323 | 19 | 10809 | 37 | 14404 |
| 1 | 14561 | 19 | 18290 | 37 | 14518 |
| 1 | 14735 | 20 | 2736 | 38 | 2219 |
| 1 | 18936 | 20 | 8156 | 38 | 6360 |
| 2 | 657 | 20 | 8933 | 38 | 7557 |
| 2 | 6156 | 20 | 12447 | 38 | 15549 |
| 2 | 17278 | 21 | 193 | 39 | 1346 |
| 3 | 222 | 21 | 2232 | 39 | 4968 |
| 3 | 12249 | 21 | 9399 | 39 | 5785 |
| 3 | 12570 | 21 | 13986 | 39 | 6632 |
| 3 | 5654 | 22 | 597 | 39 | 7267 |
| 4 | 3681 | 22 | 749 | 39 | 13066 |
| 4 | 4166 | 22 | 7202 | 39 | 13168 |
| 4 | 10504 | 22 | 7453 | 39 | 15874 |
| 4 | 10984 | 22 | 11240 | 39 | 16441 |
| 4 | 19621 | 22 | 16987 | 39 | 17386 |
| 5 | 11453 | 22 | 18826 | 39 | 19932 |
| 5 | 13550 | 23 | 1746 | 40 | 39 |
| 6 | 3118 | 23 | 3723 | 40 | 1214 |
| 6 | 4005 | 23 | 6777 | 40 | 1897 |
| 6 | 4145 | 23 | 7434 | 40 | 2559 |
| 6 | 7829 | 23 | 11389 | 40 | 15634 |
| 6 | 12974 | 23 | 16700 | 40 | 17374 |
| 6 | 16813 | 23 | 18504 | 40 | 19508 |
| 7 | 13587 | 24 | 814 | 41 | 1905 |
| 7 | 17494 | 24 | 3172 | 41 | 9356 |
| 8 | 1304 | 25 | 351 | 41 | 9447 |
| 8 | 1618 | 25 | 9475 | 41 | 12086 |
| 8 | 1769 | 26 | 11775 | 42 | 2017 |
| 8 | 4831 | 26 | 12759 | 42 | 2855 |
| 8 | 8471 | 26 | 13818 | 42 | 4850 |
| 8 | 8641 | 27 | 4118 | 42 | 5625 |
| 8 | 8937 | 27 | 6613 | 42 | 7094 |
| 8 | 9054 | 27 | 14540 | 42 | 8385 |
| 8 | 9454 | 28 | 2438 | 42 | 8814 |
| 8 | 14608 | 28 | 3031 | 42 | 11420 |
| 9 | 3152 | 28 | 3442 | 42 | 13524 |
| 9 | 3431 | 28 | 10112 | 42 | 15112 |
| 9 | 5182 | 28 | 12361 | 42 | 16418 |
| 9 | 9486 | 28 | 12621 | 43 | 366 |
| 9 | 9974 | 28 | 13908 | 43 | 1150 |
| 9 | 10836 | 28 | 15876 | 43 | 1412 |
| 10 | 759 | 29 | 17648 | 43 | 10307 |
| 10 | 1674 | 30 | 1775 | 43 | 10479 |
| 10 | 4143 | 30 | 2350 | 43 | 15403 |
| 10 | 15119 | 30 | 4970 | 44 | 379 |
| 11 | 743 | 30 | 5853 | 44 | 5220 |
| 11 | 6357 | 31 | 8946 | 44 | 6223 |
| 11 | 8600 | 31 | 8964 | 44 | 9514 |
| 11 | 12640 | 31 | 13329 | 44 | 12658 |
| 11 | 12740 | 31 | 14848 | 45 | 1804 |
| 11 | 15835 | 32 | 1418 | 45 | 5518 |
| 12 | 85 | 32 | 5105 | 45 | 9896 |
| 12 | 2769 | 32 | 5314 | 45 | 12577 |
| 12 | 4167 | 32 | 6914 | 45 | 12683 |
| 12 | 10789 | 32 | 10202 | 46 | 2895 |
| 12 | 11020 | 32 | 12462 | 46 | 4492 |
| 12 | 12640 | 32 | 16993 | 46 | 7621 |
| 12 | 13653 | 33 | 1751 | 46 | 8703 |
| 12 | 16780 | 33 | 2621 | 46 | 16389 |
| 13 | 338 | 33 | 5801 | 46 | 16513 |
| 14 | 167 | 33 | 6893 | 47 | 615 |
| 14 | 8952 | 33 | 8289 | 47 | 4668 |
| 14 | 9147 | 33 | 10887 | 47 | 5444 |
| 15 | 1652 | 33 | 11201 | 47 | 5854 |
| 15 | 8971 | 33 | 15450 | 47 | 9776 |
| 15 | 14492 | 33 | 15672 | 47 | 13767 |
| 15 | 19387 | 33 | 19812 | 48 | 455 |
| 16 | 4587 | 34 | 1731 | 48 | 1102 |
| 16 | 12108 | 34 | 4666 | 48 | 4961 |
| 16 | 15383 | 34 | 10936 | 48 | 7825 |
| 16 | 15934 | 34 | 16380 | 48 | 13279 |
| 16 | 18856 | 34 | 18780 | 48 | 13679 |
| 17 | 2072 | 35 | 808 | 48 | 18670 |
| 17 | 7427 | 35 | 4537 | 49 | 1430 |
| 17 | 14667 | 35 | 6295 | 49 | 2212 |
| 17 | 15785 | 35 | 15215 | 49 | 3205 |
| 17 | 18979 | 35 | 18120 | 49 | 7045 |
| 18 | 71 | 35 | 19828 | 49 | 12402 |
| 18 | 5521 | 36 | 3867 | 50 | 63 |
| 18 | 10398 | 36 | 10048 | 50 | 13489 |
| 18 | 12074 | 36 | 13452 | | |
| 18 | 12707 | 36 | 13862 | | |

ნომრები სერიისა, რომელიც ტირაჟში გამოვიდა:

7168, 7702, 15041, 12589, 13305, 12969, 16588, 16013, 10633, 9813, 8481, 5635, 15717, 6378, 6309, 10183, 12893, 15293, 1071, 3324, 13806, 5544, 3026, 14883, 2572, 18315, 7990, 12300, 3501, 2800, 9682, 13373, 3591, 7350, 4698, 916, 14133, 9671, 16978, 11326, 10535, 10415, 1207, 18184, 5711, 8950, 19155, 14255, 910, 8865, 19630, 2130, 16618, 7423, 76, 6471, 14251, 14643, 3225, 6963, 19258, 18828, 10427, 4484, 12817, 15578, 8134, 10269, 2142, 6785, 9007, 6611, 12124, 15253, 11133, 9859, 18950, 19443, 6778, 10568, 10453, 6331, 6231, 5087, 2837, 14840, 12540, 13445, 7071, 2927, 13938, 9727, 15536, 1482, 47, 10352, 18193, 2780, 1759, 10962, 3018, 3652.

პეტერბურგის ბირჟა, 7 ივლისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,06 | 8,09 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 161¼ | 162 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 235 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221¾ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | 192½ | 193 |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

ციმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუაღლ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისაითს.

ფოთიდგ გადის:ან

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

# განცხადებანი


გასაფრთხილებლად.

ჩვენს პატივცემულს მყიდველებსა ვთხოვთ, რომ მოითხოვონ ხოლმე ჩვენ მიერ გამოგონილი საპონი

ოლეო-ვაზელინის

**როიალ-კონგო**

მხოლოდ ჩვენის წარწერით-კი ე. ბოდლოსი და ამხ. ამ საპონმა დიდი სახელი გაითქვა და არა აქვს-რა საერთო ღირსებითა და სუნით სხვა ამ სახელის მაგვარ სახელიან საპნებთან.

საპარფიუმერო ფაბრიკა

„ვიქტორია რეგინა“

**ე. ბოდლოსი და ამხ.**

მოსკოვს.

ისყიდება ყველგან! (10—5)

ქ. ოზურგეთში

გამოვიდა და ისყიდება კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები: მ. კ.

1) „ამპარტავანი გიორგი“ გარშინისა . . „ 5
2) „ჩხუბი ერთი კვერცხისათვის“ ტოლსტოისა . „ 5
3) „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ ოცხანელისა . „ 5
4) „ქართულ ანდაზების ლოტო“ ნ. ო—შვილისა. „ 80
5) „რავდენიმე მოთხრობა“ (გურიის ცხოვ.) ე. ნინოშვილისა . . „ 50
6) „სიმონა“ მოთხრობა (გურიის ცხოვ.) მისივე . „ 30
7) „ვეფხის-ტყაოსანი“ მეორედ გამოცემა ოზურგეთში სურათით . . „ 40

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოზურგეთში გამომცემელს, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ხონში და სოხუმში ყველა წიგნის მაღაზიებს. ყვირილაში ი. კაკაბაძეს, ბათუმში ბ. კალანდაძეს, ქუთაისსა და რიონს შუა ხეთერელს, განჯაში ს. დოლიძეს და ახალსენაკში ბ. მიქაძეს და აგრეთვე გურიის ყველა მასწავლე-

წ ა რ მ ო ე ბ ა

ასფალტის სამუშაოთა.

ისყიდება

**ასფალტი და გუდრონი**

უმაღლესად დამტკიცებული სიზრანის ასფალტის ქარხნის საზოგადოება ტფილისსა და ბათუმში.

მსურველთ უნდა მიჰმართონ შემდეგის ადრესით:

ტფილისში, ალექსანდრეს ქუჩა, სახლი № 5 ი. მ. ჩერნიაევს;

ბათუმში, ბაღის ქუჩა, სახლი № 3 პ. პ. სუხანოვს.

(15—14)

**მაღაზია სარპინკებისა**

(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი ალაბაბოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჭრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები **სავაჭრო სახლი:**

ბენდერ და სტეფანოვი

(35—56—33)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი

**ზ ა დ ი გ ი**

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ბოროტი“ და ჰღირს 40 კაპ.


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ.—კ. | | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. | |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50 ,, | | 5 ,, . . . | 5 ,, 50 ,, | |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75 ,, | | 4 ,, . . . | 4 ,, 75 ,, | |
| 9 ,, . . . | 8 ,, — ,, | | 3 ,, . . . | 3 ,, 50 ,, | |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25 ,, | | 2 ,, . . . | 2 ,, 75 ,, | |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50 ,, | | 1 ,, . . . | 1 ,, 50 ,, | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვარობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ. 7-го Іюля 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე